ხაშურის მოამბე

№12 (93) 27 მარტი, ორშაბათი, 2017 წელი

ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე პარკი გაშენდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩი გიედრიუს პუოჯუნასს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი და საელჩოსა და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები.

შეხვედრაზე განიხილეს ხაშურში,ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის - პარკის გაშენების საკითხი. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთად დაათვალიერეს პარკისთვის განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია.

აგურის ქარხნის ტერიტორიაზე პარკი ლიტვური მხარის ფინანსური მხარდაჭერით და ხაშურის მუნიციპალიტეტის ჩართულობით გაშენდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტის ტექნიკური ნაწილის მოწესრიგება, რის შემდეგაც გაიწერება პროექტის დეტალური გეგმა და დაიწყება სამუშაოები.

პარკის გაშენების პროექტი მასშტაბურია. იგი არსებული ტერიტორიის დასუფთავებას, ლანდშაფტის მოსწორებას და სრულ რეაბილიტაციას მოიცავს. შესაბამისად, პროექტის განხორციელება რამდენიმე ეტაპად მოხდება.

პროექტის დასრულების შემდგომ ხაშურელი მოსახლეობის კულტურული დასვენებისთვის ახალი კომფორტული სივრცე შეიქმნება.

მუნიციპალური განვითარების ფონდი და მსოფლიო ბანკი ხაშურის მე-7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაში მონაწილეობენ

ხაშურის მე-7 საბავშვო ბაღს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. მუნიციპალური განვითარების ფონდის დონორებთან ურთიერთობის და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი თენგიზ გოგოტიშვილი და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები შოლან ვონგის ხელმძღვანელობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გურასპაშვილს, ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსს სერგო ლალიაშვილს და ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსს გიორგი პაპიაშვილს შეხვდნენ და მე-7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გეგმები განიხილეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლობა მუნიციპალური განვითარების ფონდთან გასულ წელს დაიწყო. შედეგად, დაიგეგმა მნიშვნელოვანი პროექტი - VII საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია. პროექტი საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობასაც ითვალისწინებს. პროექტის ღირებულება 911 000 ლარია. უკვე გამოცხადებულია ტენდერი და სამუშაოები მაისის ბოლოს დაიწყება.

მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა ხაშურის „ივერიის“ სტადიონიც დაათვალიერეს. ამ ეტაპზე დაწყებულია მოლაპარაკება სტადიონის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

უახლოეს დღეებში, სტადიონის რეაბილიტაციის პროექტის მომზადების პროცესი დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, „ივერიის“ სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტმა ფეხბურთის ფედერაციასთან გამართა კონსულტაციები და ტექნიკური დავალება ფეხბურთის ფედერაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა.

სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი საკმაოდ მასშტაბურია, ამიტომ დონორი ორგანიზაციების ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია.

მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს

ხაშურის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ერთობლივი ძალისხმევით, 21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საბავშვო ბიბლიოთეკაში ,გაიმართა ღონისძიება „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“.

ხალისიანი ღონისძიების შემდეგ, პატარები ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა,გამგებლის მოადგილემ ზურა ჩხიტუნიძემ და კულტურის სამსახურის წარმომადგენლებმა ტკბილეულით გაახარეს.

ღონისძიების ბოლოს, ბავშვებმა ფერად ფურცლებზე სურვილები დაწერეს და საგანგებოდ შექმნილ „ნატვრის ხეს“ ჩაუთქვეს.

შეხვედრა მეფუტკრეებთან

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხაშურში, კოოპერატივების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომლებმაც ხაშურელ მეფუტკრეებს და ამ სფეროთი დაინტერესებულ პირებს, პროგრამაში მონაწილეობის წესები და უახლესი შეთავაზებები გააცნეს. სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეებს, თანადაფინანსებით, ღირებულებების 30%-ად გადაეცემათ საკუთრებაში არსებული სკების იდენტური რაოდენობა, ამასთან, 1 ცალი 12 ჩარჩოიანი თაფლის საწური (ციბრუტი), თაფლის შესანახი 40, 60 და 220 ლიტრიანი ავზები, რომელთა ჯამური ტევადობა არ უნდა აღემატებოდეს 2 200 ლიტრს. მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს არაუმეტეს 11 ცალი 40 ლიტრიანი და 11 ცალი 60 ლიტრიანი ავზი, 1 ცალი ფიჭის ასათლელი დანა ელექტროგამაცხელებლით, ფიჭის ანათალის ავზი და 1 ცალი დენის ძაბვის გადამყვანი 220V-დან 12V-ზე. იმ კოოპერატივს, სადაც მეპაიეების 50%-ს შეადგენენ დევნილები ან/ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე იმ კოოპერატივებს, რომელთა მეპაიეებს შეადგენენ ქალები, კაპიტალური ინვესტირება გადაეცემათ ღირებულების 20%-ის ოდენობით.

უფრო ვრცელი და სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, დაინტერესებულ პირებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში შეუძლიათ და ასევე, კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე – www.acda.gov.ge

„გამოიწერეთ და იკითხეთ „ხაშურის მოამბე“

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება #116-პ/შ

13 მარტი, 2017 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანების" მმართველის თანამდებობაზე ლილი რუხაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 მარტის №942 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მესამე მუხლის პირველი პუნქტის და ლილი რუხაძის 2017 წლის 13 მარტის, №1355 განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანების" მმართველის თანამდებობაზე 2017 წლის 14 მარტიდან დაინიშნოს ლილი რუხაძე;

2. ბრძანება ეცნობოს: ლილი რუხაძეს;

3.ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ, ეკონომიკური განვითარების, განათლების, კულტურის და სპორტის და საბიუჯეტო სამსახურებს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურს;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში(ქ.ხაშური, მერაბ კოსტავას ქ, 15).

მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება #117-პ/შ

13 მარტი, 2017 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების' დირექტორის თანამდებობაზე გიორგი ბოლოკაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 მარტის, №941 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მესამე მუხლის პირველი პუნქტის და გიორგი ბოლოკაძის 2017 წლის 13 მარტის №1356 განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების დირექტორის თანამდებობაზე 2017 წლის 14 მარტიდან დაინიშნოს გიორგი ბოლოკაძე;

2. ბრძანება ეცნობოს: გიორგი ბოლოკაძეს;

3.ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ, ეკონომიკური განვითარების, განათლების, კულტურის და სპორტის და საბიუჯეტო სამსახურებს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურს;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, მერაბ კოსტავას ქ, 15).

მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი

ასე ხომ ჩვენს მომავალს ვჭრით

ყოველდღიურად ვხვდებით მოჭრილ ხეებს, განადგურებულ ტყის ზოლებს, ზოგი ნებართვით და უფრო მეტი უნებართვოდ იჭრება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმები და მკაცრი რეგულაციები, მაინც უმოწყალოდ ვკარგავთ მწვანე გარემოს, რომელიც ბევრი სიკეთის საწინდარია. ვთანხმდებით იმაზეც, რომ მოსაჭრელი უნდა მოიჭრას, ჩანაცვლდეს ახალი ნერგით, რომელზეც ისევე მონდომებით უნდა ვიზრუნოთ, როგორი მონდომებითაც ვჭრით. ადამიანები ვართ, არც ადამიანური საჭიროებანია უცხო, სოციალური მდგომარეობაც გასაგებია, რომელიც უფრო |ძლიერად მოქმედებს ადამიანის ყოფით ბუნებაზე, მაგრამ მხოლოდ წუთიერი გადარჩენისთვის რომ ვამბობთ უარს მომავალზე, სამწუხაროა. ის, რაც არ გვკლავს მომენტალურად, მომავალში არ ველით საფრთხეს მისგან. ეს წუხილი ნახევრადგაჩეხილმა ცხრამუხის მიმდებარე ფიჭვის ქარსაცავმა გამოიწვია. რამდენიმე დღის წინ მოჭრილი ხეები ჩვენც გადავიღეთ, როგორც გვითხრეს, ეს პირველი შემთხვევა არ იყო, რეგულარულად ხდება ამ ზოლის გაჩეხვა. ეს ის ადგილია, სადაც ცენტრალური გზიდანაც კარგად ჩანს გაჩეხილი ხეები და ვფიქრობთ, ჭრის პროცესის დანახვაც არ იქნებოდა შეუძლებელი. გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, თუ რომელმა სამსახურმა გასცა ნებართვა და რამდენად კანონიერად. სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ნებართვა არც სატყეო სამსახურის და არც მუნიციპალიტეტის გამგებლების წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის სამსახურის მიერ გაცემულა. როგორც აღმოჩნდა, გამოცემულია დადგენილება, რომელიც ჯერ არ შესულა ძალაში და სანამ გარკვეული რეგულაციები ამოქმედდება, იქამდე უამრავი ხის გაჩეხვა შეიძლება მოხდეს-შედეგები კი ყველას კარგად მოგვეხსენება.

-სპეციალისტი გვირჩევს -

როგორ შევამციროთ ვაზის სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ჩატარებულ წამლობათა რიცხი

გაზაფხულდა, მცენარეების სავეგეტაციო პერიოდის დაწყებასთან ერთად, გაიღვიძა იმ მავნე ორგანიზმებმა, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ, საგრძნობლად ამცირებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მიღებული მოსავლის რაოდენობას და ხარისხიანობას.

ხშირად გავიგონებთ ზოგიერთი მევენახისგან თითქოს „კვეხნით", რომ 8-10-ჯერ ჩაატარა წამლობა. შეიძლება ვაზს 4-5-ჯერ ჩავუტაროთ მავნე ორგანიზმის წინააღმდეგ ღონისძიება და მივიღოთ უფრო მეტი მოსავალი, ვიდრე 8-10-ჯერ ჩატარების შემთხვევაში. ამისთვის საჭიროა, ზუსტად ვიცოდეთ, იმ მავნე ორგანიზმის ბიოეკოლოგია, რომლის წინააღმდეგაც ვატარებთ ბრძოლის ღონისძიებას. ავიღოთ, მაგალითად, ვაზის ჭრაქი და ნაცარი. ჭრაქის შემთხვევაში, წამლობების რიცხვის შემცირებაში დაგვეხმარება „მიულერის მრუდი", რომლის გამოყენების არსი მდგომარეობს შემდეგში: სოკოვანი დაავადებების გამომწვევი ორგანიზმების განვითარების ტემპერატურაა 11-12^0, ოპტიმალური 18-24^0, მაქსიმალური 29-30^0, ჰაერის მინიმალური ტენიანობაა 95%, ხოლო მაქსიმალური 97-100%. ამ პერიოდში ადგილი აქვს წვიმას. ყურადღება უნდა მივაქციოთ ამინდის პროგნოზს, აუცილებელია გაიზომოს ტემპერატურა და ტენიანობა და ამის მიხედვით ჩავატაროთ ბრძოლის ღონისძიება. ამით შევამცირებთ ზიანს გარემო პირობების წინააღმდეგ, ნაყოფში პესტიციდების რაოდენობას და ხარჯებს, რომლებიც აისახება სურსათის თვითღირებულებაზე.

რ. ღამბარაშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორი

მოდით, მგელკაცას თავზე სახარება წავიკითხოთ

ამ დაულაგებელ ცხოვრებაში ძნელი გასარჩევი გახდა, ვინ კაცია, ვინ-მგელი და ვინ-მგელკაცა. გველი რომ ტყავს იცვლის, ისევ გველის ტყავით იმოსება, მაგრამ კაცი ხან მგლის ტყავში გვევლინება, ხან -კრავის. ასეთები, ბევრ უკეთურობას ჩადიან და ამიტომაც მგელკაცად მოვიხსენიებ.

ეს მგელკაცებს არ უნდა ეწყინოთ, რადგანაც ცხოველთა დაცვის ორგანოები მგელს ისეთ სათნო მხეცად წარმოგვიდგენენ, რომ მისი სახლში მოშენება მოგინდება. თურმე, ის ძალიან ჭკვიანი, ოჯახის ერთგული, გამძლე არსებაა და ლამის მთაში მისთვის საკვების მომარაგებაც დაიწყონ. იგი, ისეთი სანიტარი ყოფილა, რომ ჯანმრთელ ჩლიქოსანს ახლოსაც არ ეკარება, მისი შეჭმა ხომ აზრადაც არ მოუვაო.

ტელევიზიით ისიც ითქვა, რომ მონადირემ და მოსახლეობამ კეთილშობილი და ავი წარმოშობის მგელი უნდა გაარჩიოს და ისე გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაცია, მაგრამ არ იძლეოდნენ იმის რეკომენდაციას, თუ რა საბუთები უნდა წარმოადგინოს მგელმა, რომ მისი კეთილშობილური წარმომავლობა დაამტკიცოს, ასევე გამორჩათ მხედველობიდან მისი სისხლის ჯგუფის დადგენის რეკომენდაციები, ცნობების წარმოდგენა, რომ ჰყავს გამოსაკვები ლეკვები და არ არის დაავადებული ცოფით ან სხვა გადამდები სნეულებით.

როგორც ამჩნევთ, მგლები საკმაოდ დაცულები არიან სახელმწიფოსგან, ამიტომაც მათ თავზე სახარების წაკითხვის აუცილებლობა თითქოს აღარ არსებობს, მაგრამ ისეთ ადამიანებს, რომლებიც გარეგნულად კაცები არიან, შინაგანად კი მგლის ინსტიქტით ცხოვრობენ, ალბათ არ აწყენდათ რაღაც-რაღაცეების შეხსენება და ისეთი კითხვების დასმა, რომლის პასუხის გასაცემად ცოტა ჩაფიქრება მაინც დაჭირდებოდათ, იქნებ გაახსენდეთ, რომ ისინი ადამიანური წარმოშობისა არიან. მაგალითად:

ა) ბატონო მგელკაცა, წაგიკითხავს ან ვინმესგან გსმენია თუ არა, გამოთქმა: მიწა ხარ, მიწად იქეციო?

ბ) დადიხართ თუ არა ქუჩაში ფეხით და ამჩნევთ თუ არა, რომ ბევრგან პატარა ბავშვები, ამინდის მიუხედავად, მთელი დღე მშიერი და ხელგაშვერილი დგანან ან ცეკვავენ და მღერიან კეთილი ადამიანების მოლოდინში, იქნებ ვინმემ ხურდა ფული უწყალობოს, რომ ლუკმა-პური შეიძინონ და შიმშილით არ მოკვდნენ? რამდენჯერ და რა მოცულობის მოწყალება გაგიღიათ მათთვის და განგიცდიათ თუ არა სინდისის ქენჯნა, რომ მეტით არ დაეხმარე გაჭირვებულს?

გ) გყავს თუ არა შვილები და წარმოგიდგენია თუ არა ის საშინელება, რა დღეში ჩავარდებოდი შენს შვილებს რომ ლუკმა-პური ასე ენატრებოდეთ?

დ) დასაფლავებაზე სიარულის დროს, აქცევ თუ არა ყურადღებას ვის რა მიაქვს ამ ქვეყნიდან, მიუხედავად ამქვეყნიურად მისი ქონებრივი მდგომარეობისა?

ე) მიცვალებულთა საბოლოო გზაზე გაცილებისას, მიგიქცევია თუ არა ყურადღება, მას რამდენი ცრემლი და რამდენი ფურთხი მისდევს უკან და გიფიქრია თუ არა, ისე იცხოვრო, რომ ამ ქვეყნიდან წმინდა ცრემლმა გაგაცილოს და არა წყევლა-კრულვამ და ლანძღვა-გინებამ?

ვ) გიფიქრია თუ არა, რომ სიკვდილის წინ მაინც გაუზიარო შენი ქონების ნაწილი ხელმოკლე ახლობლებს ან თანამემამულეებს?

ზ) აცნობიერებ თუ არა, რომ ხალხმა იცის არაკეთილსინდისიერი გზით მითვისებულ მილიონებს გუშინ შიშით აკანკალებული მალავდი, დღეს კი ლეგალიზაცია გაუკეთე და კრავის ქურქწამოცმული მგლის მადით, ძველებურად აგრძელებ სხვის ძარცვა-გლეჯვას?

თ) გაგიგონია თუ არა ანდაზა: რაც არ გერგება, არ შეგერგებაო... მოვა განკითხვის დღე, წინ კუბო წავა და უკან ცხოვრება დარჩება. გირჩევ, მგელკაცობას ნაღდი კაცობა, მომხვეჭელობას კი ქველმოქმედება ამჯობინო და თითო მილიონიდან, თითო პროცენტი რომ გაიმეტო, მრავალ თანამემამულეს იხსნი გაჭირვებისგან. „რასაცა გასცემ -შენია, რას არა - დაკარგულია“-ო. ეს ხომ რუსთაველმა ბრძანა.

თ) ტყავის გამოცვლით ხომ ადამიანის გულს ვერ გამოცვლი, მოუსმინე მას ხანდახან და გაიხსენე ბიბლიური შეგონებანი: მშიერი დააპურე, მწყურვალს წყალი მიაწოდე, ავადმყოფი და პატიმარი მოინახულე, სხვისი არაფერი ინდომო, კაცი არ მოკლა, არ მოიპარო, არ იმრუშო და ა.შ.

ყველაზე ღარიბი მილიონერთა შორის ის არის, ვისაც ერთი მილიონი აქვს, მაგრამ მილიონის ერთი პროცენტი იმდენია, რომ ერთ ოჯახს ნოყიერად გამოკვებავს წლის განმავლობაში, მილიონერის ქონებას კი ბევრი არაფერი დააკლდება. განა დიდი განსხვავებაა, ჯიბეში ასი ლარი გექნება თუ ოთხმოცდაცხრამეტი? ერთი ლარი აგაშენებს თუ გაგაღატაკებს?

თუ ჩვენი ათეულობით ლეგალური და ბევრჯერ მეტი არალეგალური მილიონერი თანამემამულე გაჭირვებულ ადამიანებს ქონების ერთ პროცენტს გაუნაწილებს, მერწმუნეთ, საგრძნობლად გაუმჯობესდება ეკონომიკურად გაჭირვებულ მოქალაქეთა ჯანმრთელობა, აქედან გამომდინარე, შრომისა და ბრძოლისუნარიანობა, ეს კი ქვეყანას დიდად წაადგება.

გახსოვდეთ, რომ ქვეყნის გადარჩენის მთელი სიმძიმე ყოველთვის დაბალი ფენის მოქალაქეთა კისერზე გადადიოდა. ამის მაგალითი ხომ აგვისტოს ომ

მაც გვიჩვენა, როცა ნაკლებად შეძლებული ოჯახის შვილები მკერდით იცავდნენ სამშობლოს, ძლიერნი ამა ქვეყნისანი კი ძვირფასეულობით ტვირთავდნენ ავტომანქანებს და საზღვარგარეთისკენ ჰქონდათ გეზი აღებული.

ი) ვერავინ გამცემს პასუხს კითხვაზე: რამდენი მილიონი ლარი გაიტანეს ჩვენმა ისეთმა მგელკაცა თანამემამულეებმა საზღვარგარეთ, რომლებსაც საკუთარ სამშობლოში ერთი ლარის ღირებულებისა არაფერი შეუქმნიათ.

სახელმწიფოს რომ სწორი პოლიტიკა ჰქონებოდა, სოციალისტურ ათწლეულებში შექმნილ საერთო-სახალხო ქონებიდან ერთს ბლითი („ბუბლიკი“) და მეორეს მისი ხვრელი არ შეხვდებოდა, ერთ თხილს ცხრა ძმა გაიყოფდა, ერთი შიმშილით, მეორე კი ნებივრობით და გადაძღომით არ მოკვდებოდა.

კ) მგელკაცავ! მოგისმენია, ტელევიზორიდან მაინც, რომ თითო ლარიან დახმარებას ითხოვენ ავადმყოფი ბავშვები და ცრემლმორეულები ელოდებიან კეთილშობილ ადამიანთა მხრიდან მოწყალებას? რა გრძნობა გეუფლება მაშინ და თუ შვილი არ გყავს, ვინმეს შვილი ხომ ხარ და წარმოგიდგენია დედაშენის მდგომარეობა, შენი სიცოცხლის გადასარჩენად, ხელგაშვერილი რომ მდგარიყო ქუჩაში საჭირო თანხის მოსაგროვებლად? თუ წარმოგიდგენია, ნუთუ არ იღვიძებს შენში ადამიანური გრძნობა და არ გიჩნდება გაჭირვებულის დახმარების სურვილი?

მ) მგელკაცავ! ნუთუ შენი გული ისე მოდუნდა და გაუხეშდა, რომ რეაგირებას არ აკეთებს იმ მოხუცთა ცრემლდენაზე, რომლებმაც გადაიტანეს ურთულესი ათწლეულები, ომები, შიმშილობა, სიცივე, მაგრამ მშიერი მუცლით და გამომშრალი ძუძუთი შეძლეს შეენარჩუნებინათ უსუსური შთამომავლობის სიცოცხლე, სისხლით და ოფლით შემოინახეს მშობლიური მიწა-წყალი, სარწმუნოება, სინდის-ნამუსი, შრომისმოყვარეობის და კეთილშობილების ტრადიციები, ახლა კი, მომავლის იმედგაცრუების და შიმშილის გამო, ცრემლებს ღვრიან, დაუძლურებულები ძნელად იტანენ გაჭირვებას, ისინი ხომ შენში ხედავენ ბედნიერ მომავალს და როგორ გაუმართლე ეს იმედი? ამნაირ მოხუცებს რამდენი ღამე გაუთენებიათ შენს საწოლთან, როცა უსუსური ან ავადმყოფი იყავი, თვითონ, შიმშილით მილასლასებულს, რამდენი ლუკმა მოუკლიათ და შენთვის მოუწოდებიათ, რათა შენი სიცოცხოლე შეენარჩუნებინათ, ახლა კი შიმშილით დაუძლურებული, ცრემლმორეული ჩაცვენილი თვალებით შემოგყურებენ, შენ იმ იმედით, რომ გაიღებ მცირეოდენ მოწყალებას, მადლობას კი ლოცვა-კურთხევით გადაგიხდის და ძველებური სიყვარულით გაგაყოლებს თვალს. ნეტავ იმის შეგრძნების უნარი გქონდეს თუ რა აღმატებულია მადლის გაცემა-მიღების წუთები. ეს კეთილშობილი ადამიანის ახლადდაბადებას უტოლდება და მომაკვდავისათვის უკვდავების წყლის წვეთის მიწოდების ტოლფასია, წვეთისა, რომელიც იტევს ადამიანის წარსულსაც და მომავალსაც.

ნ) მგელკაცავ! ნუთუ ერთჯერ მაინც არ გიფიქრია, რომ არ არის კარგი სხვისი უსამართლო ძარცვა-ყვლეფით აურაცხელი საგანძურის დაგროვება?

განა, რამდენი უნდა ინებივროთ, ჭამოთ, სვათ და მოინელოთ შენ და შენმა შთამომავლებმა, რომ ყველაფერი შეირგოთ? ნუთუ ერთხელ არ გიფიქრია, რომ რაღაცაზე შენმა შთამომავლებმაც უნდა იზრუნონ, თორემ ფუქსავატური, განებივრებული და გაყოყოჩებული ცხოვრებით შეიძლება უბედურებას გადაეყარონ?

ბედნიერება ნაწყევარი ფუფუნებით ცხოვრებაში არ გამოიხატება. ნებისმიერ დროს, შეიძლება, ყველაფერი ისე შემოგეცალოს, როგორც ვარდს ცვივა ფერადი და სურნელოვანი ფურცლები, მისგან კი მხოლოდ სანაგვეში გადასაგდები ეკალბარდი რჩება.

არავის გაუკეთებია იმის ანალიზი, ავტოავარიებში დაღუპულ მძღოლთაგან რამდენი იყო ხელმოკლე და რამდენი მდიდარი ადამიანი. როგორც უკბილო კაცს კბილი არ ეტკინება, ისე ღარიბ-ღატაკ კაცს ავარია ნაკლებად მოუვა.

არც იმის ანალიზი გაუკეთებია ვინმეს, თუ რამდენი ხელმოკლე და რამდენი მდიდარი გაუბედურდა გასართობი აზარტული თამაშების გამო, რამდენი მათგანი გახდა ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული, რამდენი მათგანი დაავადდა ალკოჰოლური სასმელების ჭარბად მიღების გამო, რამდენმა მათგანმა „აიკიდა“ ვენერიული“ დაავადება გასართობ ღონისძიებებზე შემთხვევითი სექსუალური კავშირების გამო. ნახეთ ვინ ქადაგებს ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინილიზაციას, თავისუფალ და გაუკუღმართებულ სექსს, ერთსქესიანთა ქორწინების ხელშეუშლელობას. ნახეთ ვინ დადის რწმენით ეკლესიაში და ვინ მოჩვენებით.



მე არც მგელკაცას და არც ნამდვილ მგელს ვუსურვებ ოჯახურ ტრაგედიას, შვილების გზიდან აცდენას და სიცოცხლის გამწარებას, დაე, ყველა დატკბეს იმ შეუდარებელი ბედნიერებით, რასაც ბუნების მიერ კარგი შვილებით დაჯილდოება ჰქვია.

მე მინდა, რომ ყველა ადამიანი შინაგანად იყოს კაცთმოყვარე, რომელსაც შეუძლია იცხოვროს ღვთიური შეგონებებით. ასეთ შემთხვევაში, ჩვენს ირგვლივ, აღარ იქნებიან შიმშილით დასუსტებული თვალცრემლიანი ბავშვები და მოხუცები, რომელთა ხილვა გულისტკივილს და სინანულს იწვევს ნებისმიერ კეთილშობილ ადამიანში.

არავინ იფიქროს, რომ მე მილიონერები მეზიზღებიან. პირიქით, მინდა, რომ დალოცვილებმა იცხოვრონ, ამიტომ მოვუწოდებ მათ, რომ უშურველად გაიღონ მოწყალება, სანაცვლოდ მიიღონ ლოცვა-კურთხევა და ღვთის მფარველობა.

მე მგელკაცას ძუნწ მდიდრებს ვუწოდებ, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მთელ ცხოვრებას საფლავში გაატანენ. მათი იმქვეყნიური პრივილეგია ის იქნება, რომ სიცოცხლეში ცოდვით დამძიმებულს, სიკვდილის შემდეგ, სხვასთან შედარებით, უფრო დიდ და მძიმე ქვას დაადებენ.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ადამიანი მუშტშეკუმშული იბადება, ყველაფერი ჩემიაო და ხელგაშლილი საფლავდება - არაფერიც არ მიმაქვსო.

რევაზ გრიგალაშვილი

სურამის სამოხელეო ინსტიტუტის ისტორიიდან

(მასალები წიგნისათვის ,,სურამი")

საქართველოს ქალაქების მართვა –გამგებლობა მეფის მიერ დანიშნული მოხელეების მეშვეობით ხორციელდებოდა. ასევე იყო სურამშიც – საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქში. მას ჰყავდა თავისი „მოხელენი და მოსაქმენი". დოკუმენტებში ხშირად ვხვდებით ისეთ მოხელეებს, როგორებიც არიან მოურავი, მამასახლისი, ნაცვალი, ციხისთავი და სხვა.

საქართველოს სხვა დიდი და მცირე ქალაქების მსგავსად, სურამში მოურავები მაღალ წრიდან ინიშნებოდნენ. არის შემთხვევები, როცა სურამისა და ალის მოურავი ერთი და იგივე პიროვნება იყო. XVIII საუკუნის ბოლოს, სურამისა და ხეფნიხევის მოურავობაც ერთი და იგივე პიროვნების ხელშია.

ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელშიც სურამის მოურავი იხსენიება, როსტომ მეფის 1633 წლის ბრძანებაა. სურამის მოურავების შესახებ საკმაოდ ვრცელი მასალა მოგვეპოვება XVIII საუკუნის მთელ მანძილზე. შეძლებისამებრ, შეგვიძლიაქრონოლოგიურად აღვადგინოთ XVIII საუკუნის სურამის მოურავთა რიგიც კი.

სხვადასხვა პერიოდში სურამის მოურავები იყვნენ: – ბერი ფავნელიშვილი იგი მოწმეა ელიზბარ აიდანაშვილის მიერ, 1724 წელს, ახალდაბელი გაბრიელ ქიმერიძისათვის „ხაშურის ბოლოს" მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა.

1745 წლის 12 მაისს, თეიმურაზ II სურამისა და ალის მოურავობა ნიკოლოზ აბაშიძეს უბოძა: „ჩვენი ბძანება არის, სურამელებო და ალელებო! თქვენი მოურაობა ნიკოლოზ აბაშიძისათვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია, რომელიც მოურავის წესი და რიგი იყოს, ისე ამისი სიტყვის მორჩილნი იყავით. ჩვენს ერთგულად სამსახურს ყველას გაუგონებდეთ. ესეც თქვენს კარგად მოვლას და შემატებას ეცდება, ძალას და უსამართლობას არავის აქნევინებს. ნიკოლოზ აბაზაძევ, შენ ამათს სახელმწიფოს მალიათთან ხელი ნუ გაქვს, მალიათისა ომალმა იცის. გლეხის კაცის მოყვანას და სოფლის აშენებას ეცადე და კარგად

მოუარე, რომელიც მოურავის რიგი იყოს, ისე იქცეოდე და უსამართლოს გლეხის კაცისათვის ნურავის აქნევინებ".

ელიზბარ თაქთაქიშვილი. მას 1752 წლის 23 აპრილიდან ვხედავთ სურამის მოურავად. თეიმურაზ II ბრძანებაში ნათქვანმია: „ჩვენი ბძანება არის სურამის მამასახლისო და ერთობით სურამელებო! თვენი მოურაობა თაქთაქიშვილის ელიზბარისათვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებ(ია). რომელიცა მოურავის მართებული იყოს, იმისი მორჩილი იყავით და ჩვენს სამსახურს გაუგონებდეთ. რაცა მართებული მოურაობის სარგო იყოს, ნურაფერს ნურას დააკლებთ".

XVIII ს-ის 60 -იან წლებში სურამის მოურავი გაბრიელ გალობელია, იგი მოწმეა გიორგი არახჩიაშვილის მიერ, 1760 წლის 17 ნოემბერს, კაკაჩას ძმა ყობიაშვილისათვის „სამკვიდრო ვენახის" მიყიდვის წიგნისა.

სურამის მოურავის სახელი უჭირავთ მურვანიშვილებსაც. ისინი XVIII-ის 10-იან წლებში ფლობენ სურამის, ბეკამის, ტეზრისა და ქვიშხეთის მერათაღობას. ბაქარ ბატონიშვილის მიწერილობაში მურვან და ბეჟან მურვანიშვილებისადმი ნათქვამია, რომ მათ მერათაღობა უბოძა და როგორც „მართებული იყო იმ გვარათ აიღევით და ჩვენს სამსახურს გაუძეხით".

1749 წლის 23 ივნისს, ბაკა მურვანიშვილს თეიმურაზ მეფემ სურამის მეღალეობის სახელი უბოძა: „ჩვენი ბძანება არის მურვანიშვილი ბაკავ, რევაზ! სურამის მეღალობა შენთვის გვიბოძებია, წადი და როგორც დასტური იყოს, ღალა აიღევი, იქივ თავილდარს მიაბარე... არ დაიკარგოს რა და ან არა დაიმალოს რა, მართებული დავთარი დაიჭირე და ანგარიში მოხელეებს მიაბარე".

იესე მურვანიშვილი თითქმის ათი წელი ფლობს მოურავის სახელს.

XVIII ს-ის 70-იან წლების ერთ-ერთ დოკუმენტში ქაიხოსრო მურვანიშვილი თავის ძმას, სურამის მოურავს, იესე მურვანიშვილს წერს: „ჩვენს სახლში უფროსი ძმა შენ ხარ, თუ გინდა ბატონის წყალობის წიგნსაც გამოგიგზავნი, თავში შენა სწერიხარ. მოურაობასაც კარგად გაუძეხ და სახლსაც. უსამართლოს ნურას იქ და სამართლიანის გზით ვინც იყოს კარგათ მიეპყარ. მე ვიცი და ბატონმა ბეჯითი იყავი ყველა საქმეზედ".

1773 წლის 10 დეკემბერს მას ერეკლე მეფე ატყობინებს, რომ ერთი კვირის შემდეგ სურამში ჯარით მივა. გამოაჩინოს სიფრთხილე და „კაცები" დააყენოს ზოგი ციხეში და ზოგიც კოტილაურში, 1774 წლის 13 თებერვალს მას წერილს წერს ერეკლე II. დაავალებს: „სამი კაცი ჩვენის სახასოდამ და ორი თავისი კაცი, სულ ხუთი კაცი სურამის ციხეში დააყენოს".

1775 წლის 3 აპრილს მას წერილს წერს მისი ძმა ქაიხოსრო მურვანიშვილი, ასევე, 1778 14 მაისს მას წერილს წერს სვიმონ აბაშიძე.

მოიხსენიება: ზაალ ჩხეიძის 1776 წლის 27 თებერვლის არზაში დავით ჩხეიძის ობლების ხარჯში გაურეკლობის შესახებ, სურამელი ურიის ბინიის 1776 წლის 2 ივლისის საჩივარში იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებისადმი. იულონ და ვახტანგ ბატონიშვილების 1777 წლის 3 მაისის ბრძანებაში მათი საბატონიშვილო ბეითალმანი ყმა - მამულის მფობელების სიის შედგენისა და გამოგზავნის შესახებ. აგრეთვე, ერეკლე მეფის 1777 წლის 8 ივლისის ბრძანებაში ზაალ ჩხეიძისადმი მოახლის გათხოვების შესახებ, სოლომონ და დავით აბაზაძეების 1778 წლის 13 თებერვლის საჩივრის წიგნში იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებისადმი. მას იულონ ბატონიშვილი 1779 წლის 6 აგვისტოს წერილს წერს ბუინეველების შესახებ და სხვა. მან (იესე მურვანიშვილმა თ. ლ.) ცხრამეტი კოდი პური მიაბარა დავით ყიფიანს.

XVIII –ის 80-იან წლებში სურამის მოურავია ბერი ფავლენიშვილი. იგი იხსენიება მურვანიშვილების მიერ იულონ ბატონიშვილისადმი მიცემულ არზაში ყანის დანებების თაობაზე. იგი მოწმეა გიორგი ჩხეიძისაგან გიორგი ვეზირიშვილის მიერ მისი „წილი ლუბრუმის" 1784 წლის მაისის ნასყიდობის სიგელისა. 1786 წლის 28 ნოემბერს, ვახტანგ ბატონიშვილი მას ავალებს მაჭავარიანი ყმას გუდაძესა და ჩხეიძეებს შორის დავის გადაწყვეტას,,მანამ სამართლით ეს სადაო გადაწყდებოდეს, ჩხეიძეებს ამის მამულს ხელს ნუ შეახებენ". მოწმეა ქაიხოსრო აბაშიძის მიერ 1785 წლის 14 მარტს სურამელი სარქისა სარქისაშვილისაგან ბეკამში „მათიასშვილისეული ვენახის" ნასყიდობის სიგელისა. ამავე წლითაა დათარიღებული სვიმონ აბაშიძის მიერ პაპა მათიაშვილისაგან სამკვიდრო მამულის ნასყიდობის სიგელი. რომლის მოწმეცაა ბერი ფალავანდიშვილი, არის მოწმე სვიმონ აბაშიძის მიერ ივანე კოჩაძისგან ბეკამში „გაღმა ვენახის" 1785 წლის 27 მარტს ნასყიდობის წიგნისა. 1789 წლის 25 ოქტომბერს მას ავალებს ერეკლე II გადაწყვიტოს მირზა იბრეიმისშვილის გიორგი ნასადჩიბაშის ნაიბსა და კოჩაძესა და მეტივიშვილს შორის წამოჭრილი დავა ამ უკანასკნელთა მიერ მიწების გაყიდვის გამო. მას ევალება ოსიაურელ კოჩაძეს და მეტივიშვილს „დაასხნევინოს" მათი გაყიდული ვენახები და გიორგი ნასახჩიბაშის ნაიბს „დაანებოს". იხსენიება ქაიხოსრო აბაშიძისათვის 1790 წლის 11 ოქტომბერს წიფელი ქურდაძე ბეჟიტას შვილის შიოს მიერ მამულის მიყიდვის სიგელში, ლევან აბაზაძის 1790 22 მაისის არზაში დარეჯან დედოფლისადმი.

90-იან წლების დასაწყისში, სურამის მოურავისა და ციხისთავის სახელოები ბეჟან ამილახვრიშვილს უჭირავს. მას, 1792 წლის 5 იანვარს, აძლევს ერეკლე მეფე სურამის მოურავის სახელს: „ჩვენ მაგიერად ამილახვრისშვილს მინბაშს ბეჟანს ასე უამბეთ! მერმე სარწმუნო კაცად გიცნობთ და ვიცით, რომ ყოველს ჩუენს სამსახურზედ დიდად ერთგულობით ბეჯითი ხარ და ამისთვის მოგვიბოძებია შენთვის და წყალობა გვიქნია სურამის მოურაობა. რომ დღეის იქით შენ უნდა განაგებდე იქაურს სამოურაოს საქმესა და როგორც შენის ერთგულობისა და კარგის კაცობისაგან ვიცოდეთ, ისე უნდა მოუყარო და ჩუენს სამსახურსაც ერთგულობით აღასრულობდე". იხსენიება 1791 წლის 30 დეკემბერს ერეკლე მეფის ბრძანებაში სურამელებში მოღალატის გამორკვევისა და დასჯის შესახებ. მურვანიშვილებისა და ბებიაშვილების 1793 წლის 7 იანვრის არზაში, საყდრისა და სასაფლაოსთან დაკავშირებულ დავის საქმეზე მას ავალებს ერეკლე II მივიდეს სურამში, გაარკვიოს და რაც შეიტყოს მას აცნობოს.

1793 წლის 20 აგვისტოს მას მეფის ასული მარიამი წერს მისი აზნაურიშვილის უსამართლოდ დასჯის შესახებ.

იხსენიება ერეკლე მეფის 1794 წლის 27 თებერვალის ბრძანებაში მაისსა და მკათათვეში მორიგი ჯარის გამოყვანის შესახებ. მას ავალებს იულონ ბატონიშვილი შეაჩეროს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ჯობაძეების ვენახის მურვანიშვილებისათვის მიცემის შესახებ. იხსენიება ტირძნისიდან ესტატე მგალობლის და იმისი სახლის კაცის აყრის შესახებ ერეკლე მეფის 1793 წლის 2. მაისის ბრძანებაში.

XVIII საუკუნის 90-იანი წლებში, სურამის მოურავი კვლავ ბერი ფავლენიშვილი ჩანს. იგი მოწმეა სოლომონ ხეროდინაშვილის მიერ მირზა იბრეიმასშვილის – გიორგი ნასხჩიბაშის ნაიბისათვის „სამკვიდრო ვენახის" ნასყიდობის სიგელისა. გორგასალ ჩხეიძის მიერ გიორგი ვეზირიშვილისათვის 1789 წლის „ბიძაშვილებისაგან ბარათში გამოტანილი" თავისი წილი ლუბრუმის ნასყიდობის 13 აპრილის სიგელისა.

90-იანი წლების ბოლოს სურამის მამასახლისია ელიზბარ ერისთვიშვილი. იგი იხსენიება იესე მურვანიშვილის მიერ, 1798 წლის 17 სექტემბერს, თეიმურაზ ბატონიშვილისათვის მიცემულ არზაში მისთვის სომეხი ბიჭის წაურთმელობის შესახებ.

XVIII საუკუნის 90- იან წლების შუა ხანებში, სურამის მოურავის სახელო უჭირავს ზაზა ამირეჯიბს. 1796 წლის 18 ივნისს, ერეკლე მეფის ბრძანებაში ნათქვამია: „მერე ქეფინის ხევი სურამზედ აძევს და სურამის სამოურაოდ ამირეჯიბს ზაზას ეჭირა". ზაზა ამირეჯიბის ბეჭედი უზის მურვანიშვილებსა და აბაზაძეებს შორის დავის გადაწყვეტილების 1794 წლის 29 აპრილის სიგელს.

XVIII ს-ის ბოლოსა და XIX-ის დასაწყისში, სურამის მოურავის სახელო აბაშიძეების ხელშია. ესენია ევგენი, დავითი, პაატა აბაშიძეები. მათ ხელშია აგრეთვე ხეფინის-ხევის მოურავის სახელო, მათ მოურაობა გიორგი XII უბოძა. ვგენი აბაშიძე ფლობს ალის მოურავის სახელოსაც („ალი მეფის ერეკლეს და დარეჯან დედოფლიდამ მქონდა ნაბოძები".

1800 წლის 4 აპრილს, დავით ბატონიშვილი წყალობის წიგნს ააძლევს ევგენის და სხვა აბაშიძეებს: „...მეფის ძემან დავით ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ აბაშიძე ევგენის, ძმისწულსა შენსა დავითს, ძმასა შენსა დავითს, შვილსა შენსა პაატას და ძმისწულსა შენსა იოანეს.. ნაცვლად მსახურებისა და ერთგულებისა... სურამისა და ქეფინის ხევის მოურაობა, რომელიც მის სიმაღლის ბატონის მამის ჩვენის ნებისთა და ბძანებით მოგებოძათ.

როგორც ჩანს, XIX- ს-ის დასაწყისში, სურამელებმა „ურჩობა" გამოიჩინეს მოურავის მიმართ. 1802 ქლის 29 ნოემბერს, დავით ბატონიშვილი ბეცია თურქისტანიშვილს წერს,,,. ერთობით სურამელთ ასე გამოუცხადა მე ვარ მაგ ქვეყნის (სურამის –თ.ლ.) მეპატრონე და ჩემგანაც და მამისჩემისაგანაც დადგინებული მოურავი ეს ევგენი აბაშიძე არის. ახლა მეც ეს წიგნი მომოწერია და პეტრე ივანოვიჩმა კავალსკიმაც წიგნი მისცა და ჩემი წყალობა დაუმტკიცა, კარგათ ამხილე, მაგათ, ნუ ჯანყობენ, ნურც ამას ეურჩებიან. ჩემის დადგინებულის მოხელის ურჩება ჩემი ურჩება არის, ვინც ამას (გ)ეურჩება, ახმაროს სამღვდელომ თუ საერომ. თუ ჩემი ერთგული ხარ, დაიჭირე და აქ ჩამოიყვანე, მაგათ საკადრისად მე მოვექცევი. ვისაც სამოურავო არ მოუცია, ისიც ახლავ გამოურთვი და მოეც, ბეითალმანი სადაც იყოს რამე, ისიც შენ და ამან მოიკითხეთ და ჩემი ბარავისაც აიღოს და შეჭამოს ისიც ახლავ გამოართვით და აქ გამომოგზავნეთ".

შემორჩენილია სურამის მოურავის ევგენი აბაშიძის მოხსენება ახალი რუსული მმართველობისადმი მისი კუთვნილი სარგოს შესახებ. მოხსენების მიხედვით, იჯარიდან და ბაჟიდან მისი შემოსავალი იყო: „ვინც იჯარას აიღებდა, იმას ფეშქაში, იქიდამ მერგებოდა ოცი თუმანი. რაც ბატონის ფარჩა იყიდებოდა, იქიდამ მერგებოდა თუმანზე ორი შაური, ათი-თორმეტი ათასი თუმნის იყიდებოდა.

ლეკებსაც მიეცემოდა შვიდი-რვა ათასი თუმნის ფარჩა, იქიდამ მერგებოდა თუმანზე ორი შაური".

მას დანიშნული ჰქონდა წლიური ულუფაც:

„წლის ულუფა მქონდა დღეში ორი ლიტრა პური, სამი ლიტრა ქერი, ორი თუნგი ღვინო, ორი ლიტრა ხორცი, მარხვის ერთი წყვილი დოში, ერთი ჩარექი ხოზილალა, ღამეში ორის ბისტის სანთელი".

მთლიანი შემოსავლის შესახებ მოხსენიებაში ნათქვამია: „მოურავი ვიყავი სურამისა, ალისა, ქებინის ხევისა, ვარაუდით მოვახსენებთ, ოცი თუმნისა მეტი მერგებოდა, მაგრამ ცოტა დამიწერია".

ევგენი აბაშიძის სარგოზე სურამის მოურაობიდან სხვაგან ნათქვამია: „მესამე სახელო სურამი უკანასკნელის მეფისაგან ბოძებული თავად ევგენისა და დავითს და პაატას სახელზედ ჩყ (1800) წელსა, აპრილის დ(4) დღესა. ესეცა არის თანაშეერთებული ხეფინის ხევის მოურაობასთან. აქედამ გვქონდა შემოსავალი ბაჟის ათისთავი, სამღებროს ათისთავი და ახალწელიწადს სამი დღე, რაც შეიღებებოდა საჩექმე, თავის გასამტეხლო, გასამყრელო შეძლების გვარად და ძღვენი. აგრეთვე სხვა რიგათ წვრილი შემოსავალი ან მოჩივარიდამ და ან სხვიდამ იქნებოდა წელიწადში უმეტესი ორმოცდაათის თუმნისა...". ევგენი აბაშიძის რძალი სალომე მეუღლის (პაატა აბაშიძე) გარდაცვალების შემდეგ, 1805 წელს წერდა: „ჟამსა განსვენებულისა ირაკლისასა იყო მოურავად თავადი ევგენი აბაშიძე და მე მისი პაატა საქართველოს ჩვეულებისამებრ და შემდგომად უკანასკნელის მეფის გიორგის დამტკიცემით მიიღო ძემან მისმა და ქმარმა ჩემმან პაატა აბაშიძემან მოურაობა სრული ყოველსა ზედან და მართავდა იგი მათ... და იყო მათი შემოსავალი ჩვენად სარგო უმეტეს სამასის თუმნისა, როდესაც ეფლობდით ვიდრე 1805 წლამდე...".

ამ ამონარიდიდან ცნობილი ხდება რომ აბაშიძეებს, ამ შემთხვევაში პაატა აბაშიძეს, მოურავის სახელო უჭირავს 1805 წლამდე.

სურამის მოურავად ჩანს ქაიხოსრო აბაშიძეც. იგი მოიხსენიება მის მიერ ბერიკა ქოიჩაშვილისთვის 1804 წელს მამულის მიყიდვის სიგელში.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კომბინირებული საკვების დამამზადებელი საწარმო ამოქმედდა

,,ხაშურის მოამბე"-ს მიერ დაანონსებული კომბინირებული საკვების დამამზადებელი საწარმო აშენდა. მის შესახებ გასულ წერს გიამბეთ, როდესაც შენობა ჯერ კიდევ ხარაჩოებში იყო მოქცეული და სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა. ამ დღეებში კი, უკვე დასრულებული საწარმო ადგილზე დავათვალიერეთ და გავესაუბრეთ საწარმოს მფლობელებსაც, ამ საოცრად პერსპექტიული და მომგებიანი საქმის წამოწყებაში მხარი დავუჭირეთ. გაკვირვებული და გახარებული დავრჩით, იდეის სრულყოფა საკმაოდ სწრაფად და მოკლე დროში რომ მოხერხდა, თუმცა, მათივე თქმით, გაწეულ საქმიანობას, უდიდესი

ძალისხმევა დასჭირდა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია მათ წარმატება ვუსურვოთ ამ დიდებულ წამოწყებაში, უდავოა, რომ ეს ენთუზიაზმი და საქმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, ბოლომდე შენარჩუნდება. საწარმო ს (შპს ,,მარიამი") შემდგომ მუშაობაზე, მომხმარებლისათვის შეთავაზებულ სერვისებზე და საკვების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ვრცლად, ინტერვიუდან შეიტყობთ.

ლექსო ხარაზიშვილი :(შპს „მარიამის" ერთ-ერთი დამფუძნებელი)– სამშენებლო სამუშაოები 2016 წლის გაზაფხულზე დავიწყეთ

და ამავე წლის ნოემბერში დასრულდა. საწარმო ხაშური-ბორჯომის გზატკეცილზე მდებარეობს (ქვიშხეთამდე), გზიდან 200 მეტრში. უამრავი ფიქრის, მსჯელობის და აზრების შეჯერების შემდეგ, მოხდა ამ იდეის განხორციელება. ვფიქრობდით, რამდენად გაამართლებდა ჩვენს რაიონში ეს წამოწყება, რამდენად მიიღებდა მომხმარებელი ფრინველის, ცხოველის, თევზის კომბინირებული საკვების შეთავაზებას. საბოლოოდ კი, ამგვარი საკვების მაღალეფექტურობიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მსგავსი პროდუქტის ბაზარზე გატანა ურიგო არ იქნებოდა. საწარმოს აშენებისათვის დაფინანსება იაფი აგროკრედიტის საშუალებით მოხერხდა – სულ 90 000 დოლარი მივიღეთ სესხი. რაღა თქმა უნდა, ეს თანხა წაგვადგა საწარმოს სრულყოფის საქმეში, თუმცა, ჩვენი გაწეული ხარჯებიც საკმაოდ დიდი იყო. რთული და შრომატევადი აღმოჩნდა ელექტროენერგიის, წყლისა და გაზის მოყვანა შენობამდე, დღეს კი სამივე კომპონენტით უზრუნველყოფილნი ვართ. მშენებლობა, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ – ტრიალ მინდორზე, როგორც იტყვიან, აგურს აგური დავადეთ, და როგორც ხედავთ საწარმო მზადაა სრული დატვირთვით მუშაობისათვის.

- ბატონო ლექსო, რა ეტაპზეა ამჟამად საწარმოს მუშაობის პროცესი, საკვების წარმოება დაწყებულია?

– დიახ, კომბინირებული საკვების წარმოება დაწყებულია, თუმცა, საკვებს ჯერ საცდელად ვამზადებთ, ჩვენ პროდუქტს ვაცნობთ მოსახლეობას. დანადგარებიც სრული დატვირთვით მუშაობს. აქვე აღვნიშნავ, რომ დანადგარები საზღვარგარეთიდან შემოვიტანეთ. დაახლოებით 40 ათასი დოლარის ღირებულებისაა. დანადგარებს შეუძლიათ, ერთ საათში, 300 კილო გრანულირებული საკვები გამოუშვას, ხოლო არაგრანულირებული საკვების შემთხვევაში 1200 კილო – საათში.

- რამდენი სახის კომბინირებულ საკვებს ამზადებთ საწარმოში და ძირითადად რომელი ცხოველებისთვისაა გათვლილი?

– ამჟამად, ვამზადებთ მეწველი ფურის, დედა ღორის, ხბოს და გოჭის კომბინირებულ საკვებს, შემდგომში კი ფრინველისა და თევზის კომბინირებულ საკვებსაც დავამზადებთ. მაგალითად, მეწველი ფურის შემთხვევაში, ვიყენებთ ქერს, ხორბალს, სიმინდს, მზესუმზირის და სოიოს შოტს, კირქვას, მარილს და პრემიქსის კონცენტრატს მცირე რაოდენობით. ღორის შემთხვევაში კი, ყოველივე ამ ინგრედიენტთან ერთად, თევზის ფქვილსაც ვუმატებთ, რომელიც საკმაოდ ძვირი და ძნელად საშოვნელი პროდუქტია. ზოგადად, მოსახლეობა იშვიათად იყენებს კომბინირებულ საკვებს, სარგებლობენ უმეტესად ქერით და ქატოთი, რომელიც პურის ფქვილის ანაცერია და არ აქვს ის ენერგეტიკული ღირებულება. ჩვენი კომბინირებული საკვების უპირატესობა კი ის გახლავთ, რომ ერთ საკვებში მოთავსებულია ვიტამინებისა და სასარგებლო ნივთიერების დიდი რაოდენობა, რომელიც ზრდის წველადობას და პირუტყვი მალევე იმატებს წონაშიც. ამ საქმის წამოწყებასთან ერთად, კარგად გავერკვიეთ მცირე დეტალებშიც და გეტყვით, რომ ცალკეული, მარცვლეული საკვები არასოდეს შეიცავს ცხოველის საზრდოობისათვის აუცილებელ ყველა ელემენტს, ამიტომ ცალ-ცალკე, თითოეული მათგანი, შეიძლება ითქვას არასრულფასოვანია. ამ საკვებთან სხვადასხვა კომბინაციათა შეფარდება კი სრულფასოვან კომბინირებულ საკვებს მოგვცემს. სხვათაშორის, ერთ-ერთ ოჯახში, ჩვენი საკვების გამოცდის შემდეგ, მეწველმა ფურმა 5 ლიტრით მოიმატა რძის მოცემა.

- მოსახლეობისათვის რამდენად შეღავათიან ფასში გაყიდით კომბინირებულ საკვებს?

– ჩვენი გამოთვლებით, საკვების ღირებულება 1 ლარი და ათი თეთრიდან, ლარნახევრამდე მერყეობს. თევზის საკვების შემთხვევაში კი ფასი 2 ლარამდე გაიზრდება. ფასები დამოკიდებული იქნება ნედლეულის შესასყიდ ფასზე. მას დაემატება ბიოლოგიური ნივთიერებები და მარილი, რომელიც მნიშვნელოვანია ცხოველისათვის. კომბინირებული საკვებისათვის საჭირო ნედლეულს კი ისევ მოსახლეობისაგან შევისყიდით. მაგალითად ფერმერს შეუძლია მოგვიტანოს საწარმოში სასურველი მარცვლეული და ჩვენ დავუმზადებთ მას სასურველ საკვებს. ამგვარი პრინციპი კი, ვფიქრობთ, ორმაგი სარგებლიანობაა.

- რამდენი ადამიანის დასაქმებას გეგმავთ საწარმოში?

– ცხადია, დასაქმება ჩვენთვის პრიორიტეტულია, თუმცა მაღალი სტანდარტების მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი საწარმო მაქსიმალურად გამორიცხავს ხელით შრომას, ასე რომ, ამჟამად საწარმოში 6 ადამიანია დასაქმებული. ვიმედოვნებთ, რიცხვი, აუცილებლად, გაიზრდება.

- ბატონო ლექსო, ცხადია, საწარმოში ყველა სტანდარტი დაცული იქნება...

– ცხადია, ჩვენი საწარმო აუცილებლად უზრუნველყოფს უმაღლეს სტანდარტებს და მომხმარებლისათვის უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მიწოდებას. ჩვენი უმთავრესი დანიშნულება საშუალო და მცირე ზომის ფერმერებისათვის ცხოველთა და ფრინველთა უმაღლესი ხარისხის კომბინირებული საკვებით და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა იქნება. მომხმარებლისათვის ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზება ჩვენი უპირველესი ამოცანა გახდება. ჩვენი პროდუქტი უსათუოდ გაივლის ხარისხის მკაცრ კონტროლს, რითაც, შევეცდებით, სრულიად დავაკმაყოფილოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ფერმერების მოთხოვნები ცხოველთა და ფრინველთა კვების სფეროში.

„ხაშურის მოამბე" კვლავც მიადევნებს თვალს საწარმოს მუშაობას და ეცდება ამ და სხვა მცირე

თუ საშუალო სიმძლავრის საწარმოებს პოპულარიზაცია გაუკეთოს, რადგან მუნიციპალიტეტის ეკონომიკის აღმავლობა და უმუშავრობის შემცირების პროცესი სწორედ მსგავსი ბიზნესის საშუალებით უნდა მოხდეს.

თ. ახალკაცი

- ძიუდო -

ხაშურის კლუბი ,,სამურაი'' ოქროს ლიგაში იასპარეზებს

ძიუდოში, საკლუბო ჩემპიონატები ძალზე პოპულარულია მთელს მსოფლიოში და არაფერია გასაკვირი,რომ საქართველოშიც მრავალი კლუბი იბრძვის უმაღლესი ტიტულების მოსაპოვებლად. ამ დღეებში, კადეტებს შორის , საქართველოს პირველობა გაიმართა კლუბებს შორის. ხაშურის სასპორტო სკოლას კლუბი „სამურაი" წარმოადგენდა. პირველობისათვის ბრძოლაში კი 47 გუნდი მონაწილეობდა. ჩვენმა ახალგაზრდებმა შესანიშნავად წარმოადგინეს თავი და იმ 8 გუნდს შორის მოხვდნენ,რომლებიც ე.წ. „ოქროს ლიგას" შექმნიან და ივნისის თვის დასაწყისში ჩემპიონობისათვის იბრძოლებენ. ოქროს ლიგაში მოსახვედრად კი ჩვენმა ძიუდოისტებმა ყვარელის(5:0), ახმეტის (4:1), მარნეულის (4:1) და ბათუმის (4:1) კლუბები ჩამოიცილეს გზიდან. მწვრთნელების ბუხუტი ბუხრიკიძის, ბეგლარ ხარშილაძის და ომარ ლომიძის დამოძღვრილი კადეტები, რა თქმა უნდა, ამაზე არ აპირებენ გაჩერებას და მათგან უმაღლესი სინჯის მედლებსაც ველით. „სამურაი" კი ამ ჩემპიონატში ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა: ნიკა ბლიაძე (55კგ), გიორგი ნასყიდაშვილი (60კგ.), ლუკა ნოძაზე(66კგ.) ნოდარ ბუხრიკიძე(66კგ.), ზაურ დვალიშვილი (73კგ.) და პაატა ტაბატაძე (+73კგ.).

დავასუფთაოთ ჩვენი გარემო

პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს" ფარგლებში, 22 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლებმა, სოფელ ოსიაურში, ე.წ. „ბატონის ბაღის" მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს. აქციაში ჩართული იყო ა(ა)იპ „ხაშურსერვისი" და ადგილობრივი მოსახლეობა.

კლასიკური მუსიკის საღამომ წარმატებით ჩაიარა

22 მარტს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა. კონცერტში, „სიმებიან კვარტეტთან" ერთად, პედაგოგ ფატი სადაღაშვილის მოსწავლეები: ლიკა კალმახელიძე, სოფიო ნოზაძე და ანი

ქურდაძე მონაწილეობდნენ. პატარებმა, რომელთაც როიალთან აკომპანიმენტს უწევდა კონცერმეისტერი თამაზ აბრამიძე, ნაწარმოებები ვიოლინოზე შეასრულეს.

კლასიკური მუსიკის საღამოზე პიაცოლას,ვივალდის,გლუკის,რუბინშტეინის, ბომის, ხაჩატურიანის, ჩაიკოვსკის, კრეისლერის და ბეთჰოვენის ნაწარმოებები შესრულდა.

საღამოს უძღვებოდა ხელოვნებათმცოდნე ინგა ხრიკაძე.

მუსიკოს-შემსრულებელთა შემოქმედებამ, მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

დასასრულს, ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გურასპაშვილს, კულტურის სამსახურის უფროსს კოტე ფრუიძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტში პროფესიული მუსიკის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ 24 მარტს დაიწყო და 2 აპრილამდე გაიმართება კლასიკური მუსიკის მე-10 საიუბილეო რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი ''„მომავლის ვარსკვლავები 2017",'' სადაც მონაწილეობას მიიღებენ ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები; სოფიო ნოზაძე, ლიკა კალმახელიძე და ბარბარე ნოზაძე.

მადლობა თანადგომისთვის

სოფელ ცოცხნარის ე.წ. ლაშხევის უბნის მაცხოვრებლები მადლობას ვუხდით ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გიორგი გურასპაშვილს და ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს ბატონ დავით გოგალაძეს დიდთოვლობის პერიოდში გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისთვის.

უბნის მოსახლეობის სახელით რევაზ გრიგალაშვილი

შუშის ქარხნის დასახლებაში საბავშვო ბაღი ნოემბრისათვის ექსპლუატაციაში შევა

580 ათასი ლარი - ეს თანხა უნდა მოხმარდეს შუშის ქარხნის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობას. ბავშვთა სამი ჯგუფისთვის იქნება განკუთვნილი და 100-120 ბავშვს მოემსახურება. პროექტი (სურათზე) უკვე მზადაა. უახლოეს დღეებში კი ტენდერი მშენებლობაზე გამოცხადდება, სადაც ყველა ტექნოლოგია და მოთხოვნა იქნება გათვალისწინებული.

საბავშვო ბაღის მშენებლობა რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.